

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“ (ს/ნ 404909827)
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „რაგბის განვითარების ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
2. ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც, უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
3. ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
4. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
5. ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
6. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
7. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
8. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
9. თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 20 აგვისტოს.

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფის“
დირექტორი: / მერაბ აბდუშელიშვილი
2023 წ. 31 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2022 წელი

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
სულ აქტივები	2,149,966	2,267,634	1,758,981
მიმდინარე აქტივები	1,931,111	1,840,672	1,213,354
ფული	401,777	478,952	145,409
საექვო მოთხოვნების კორექტირება	44,361	44,361	44,361
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,333,885	1,253,865	953,079
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	-	2,300	2,300
დაუმთავრებელი მშენებლობა			
ნედლეული და მასალები	39,482	50,908	51,651
საგადასახადო აქტივი	111,606	10,286	16,554
გრძელვადიანი აქტივები	218,855	426,962	545,626
სატრანსპორტო საშუალებები	184,156	195,220	240,814
ბუნ.საფ.მოედნების რეკონსტ		194,339	259,119
ავეჯი და სხვა ინვენტარი	21,803	22,313	29,848
ბიოლოგიური აქტივი	12,382	14,405	14,990
არამატერიალური აქტივი	513	685	856
სულ აქტივები:	2,149,966	2,267,634	1,758,981
მიმდინარე ვალდებულებები	446,168	2,812	7,224
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი	1,703,799	2,264,822	1,751,756
ინვესტირებული კაპიტალი	14,814,679	11,694,679	9,088,279
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(13,110,881)	(9,429,857)	(7,336,523)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,149,966	2,267,634	1,758,981

დირექტორი - *[ხელმოწერა]* მერაბ აბდუშელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი *[ხელმოწერა]* ეთერ ქართველიშვილი



სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წელი

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები:		
შემოსავალი იჯარეიდან	683,475	607,682

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საერთო მოგება	683,475	607,682
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	1,284,427	1,297,653
დაზღვევა	90,136	78,544
დამქირავებლის მიერ საპენსიო შენატანი	17,658	17,225
ინტერნეტ და ტვ მომსახურება	65,990	56,821
მასალის დანახარჯები	717,417	123,091
ფიზიკური პირის მიერ შესრულებული სამუშაოები	10,411	12,742
გარე ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოები	1,299,811	498,978
დაცვის მომსახურება	540,508	509,661
საწვავის ხარჯი	36,196	24,171
საბანკო მსახურების ხარჯები	1,514	1,045
ფართი იჯარა	10,267	10,138
მივლინების ხარჯი	845	30
ქონების გადასახადი	3,518	5,197
ავტომანქანის რემონტი	3,455	2,693
ადმინისტრაციის ხარჯი	1,812	1,822
სხვა ხარჯები	30,005	
არ ჩათვლილი დღგ		
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	4,113,970	2,639,813
საოპერაციო მოგება	(3,430,495)	(2,032,131)
ცვეთა და ამორტიზაცია	256,803	124,174
საკურსო სხვაობა	786	3
არასაოპერაციო ხარჯი	2,506	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8,039	69,594
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	44	6,627
წმინდა მოგება (ზარალი)	(3,681,023)	(2,093,334)

დირექტორი -

მერაბ აბდუშელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ეთერ ქართველიშვილი



ფულის მოძრაობის უწყისი 2022 წელი

	2022 წელი	2021 წელი
ფული პერიოდის დასაწყისში	478,952	145,409
შემოსავლები:		
საწესდებო კაპიტალის შევსება	3,120,000	2,606,400

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შემოსავალი იჯარიდან	734,485	413,350
დაბრუნებული ავანსი		
სულ შემოსული თანხები	3,854,485	3,019,750


გასავალი მომსახურების შეძენაზე:		
მოწ. და მომსხ. წარმოქმნილი ვალდებულებები		
შეძენილი მომსახურება ფიზ. პირები		
სულ შესყიდვები	-	-
საოპერაციო ხარჯები:		
გადახდილი ხელფასები	3,879,672	2,680,697
გადასახადები ბიუჯეტში	1,009,045	1,022,396
სსიპ საპენსიო სააგენტო	28,677	90,746
დაზღვევა	35,273	36,807
შეძენილი მომსახურება ფიზ. პირები	79,827	68,431
შეძენილი მომსახურება და საქონელი	5,930	12,044
მივლინების ხარჯი	2,718,561	1,449,198
ბანკის მომსახურების ხარჯი	845	30
სულ გაცემული თანხები	1,514	1,045
	3,879,672	2,680,697

ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	(25,187)	339,053
---------------------------------	----------	---------

ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	51,202	5,510
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(51,202)	(5,510)
თაველსუფალი cashflow	(76,389)	333,543
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხის მიღება		
სესხის ძირის დაფარვა		
საკურსო სხვაობა	(786)	
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(786)	-

ფული პერიოდის ბოლოს	401,778	478,952
---------------------	---------	---------

დირექტორი -  მერაბ აბდუშელიშვილი

მთავარი ბუღალტერი  ეთერ ქართველიშვილი



ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2022 წელი

საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ კაპიტალი
-----------------------	---------------------	--------------------------------	--------------

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	7,062,679	(5,545,777)	-	1,516,903
დაგროვილი მოგება	-	(1,790,746)		(1,790,746)
საწესდებო კაპიტალი	2,025,600	-	-	2,025,600
გაცემული დივიდენდი	-		-	-
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის	9,088,279	(7,336,523)	-	1,751,756
დაგროვილი მოგება	-	(2,093,334)		(2,093,334)
საწესდებო კაპიტალი	2,606,400	-	-	2,606,400
გაცემული დივიდენდი	-		-	-
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	11,694,679	(9,429,858)	-	2,264,822
დაგროვილი მოგება	-	(3,681,023)		(3,681,023)
საწესდებო კაპიტალი	3,120,000	-	-	3,120,000
გაცემული დივიდენდი	-		-	-
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	14,814,679	(13,110,881)	-	1,703,798

დირექტორი -



მერაბ აბდუშელიშვილი

მთავარი ბუღალტერი



ეთერ ქართველიშვილი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშემოსულობა და ზოგადი ინფორმაცია

საზოგადოება დაფუძნებულია არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ასოციაცია ატუს“(ს/კ 239402491) და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „საქართველოს რაგბის კავშირის“ მიერ. წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 80%-20%.

საზოგადოების მიზანს წარმოადგენს რაგბის განვითარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ექსპლუატაცია.

პარტნიორები კრების ოქმების საფუძველზე სარგებლობის და გამოყენების უფლებით ყოველგვარი სასყიდლის გარეშე გადასცემენ სარაგბო ბაზებს ვარჯიშების, ტურნირების და სხვასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

2. შუღბენის საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ბანცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფაასს) შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ფუნქციონალურ და გამოსახვის ვალუტაში) დამრგვალებული უახლოეს ათასამდე (GEL 000), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში, შესაბამისად მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (ბაბრქელება)

ტრანსაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანსაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2.4. მარაგები

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს. თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, მაგრამ სესხების ხარჯების გამოკლებით.

სასაქონლო მატერიალურ მარაგებს საზოგადოება იყენებს, დამფუძნებლების მიერ კრების ოქმის საფუძველზე გადმოცემული სარაგო ბაზების მოვლა-პატრონობის და გამართული საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანის მიზნით. სასაქონლო-მატერიალურ მარაგებზე შედგენილია დეფექტური აქტები -შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, სადაც ნათლად არის შესაძლებელი იდენტიფიცირება სასაქონლო მარაგების გამოყენების საჭიროება.

2.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პროპორციულად უნდა გადაიხედოს.

ძირითადი საშუალებები, მათ შორის, მფლობელის მიერ დაკავებული ქონება, ფასდება თვითღირებულებით, ყოველდღიური მომსახურების ღირებულების გარდა,

დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოვლენით. გამოცვლის ან ძირითადი შემოწმების ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება ამ ხარჯების გაწევისას და, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი ამ პუნქტთან დაკავშირებით მიემართება ორგანიზაციაში და შესაძლებელია პუნქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ამორტიზაცია გათვალისწინებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე შემდეგი კლასების აქტივების სასარგებლო გამოყენების პერიოდისთვის:

- ❖ შენობები: 20 წელი
- ❖ სატრანსპორტო საშუალებები: 5 წელი.
- ❖ ავეჯი და ინვენტარი: 5–დან 10 წლამდე.
- ❖ საიჯარო ქონების გაუმჯობესება: 5 წელი.

ამ აქტივების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და ამორტიზაციის მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პერსპექტიული შესწორება.

გაუფასურების განხილვა სრულდება, როდესაც არსებობს მაჩვენებლები, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ აღდგეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგების ანგარიშგებაში, ხარჯის სახით.

ძირითადი საშუალებების პუნქტის აღიარების შეწყვეტა ხდება განკარგვის შემდეგ ან როდესაც არაა მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა ან განკარგვიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას (გამოითვლება როგორც სხვაობა განკარგვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის ანგარიშგებაში აქტივის აღიარების შეწყვეტის წელს.

ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები	ბიოლოგიური აქტივი	რაგბის სტადიონების რეკონსტრუქცია	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2021 წლის 1 იანვარი	20,833	323,898	4,835	43,103	383,058	775,728

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

შემოსვლა	1,620.00			459	3,431	5,510
გასვლა						
გადაფასების რეზერვი						-
2021 წლის 31 დეკემბერი	22,452.65	323,898.32	4,835.41	43,561.86	386,489.34	781,238
შემოსვლა	240.00		2,950	5,612	42,400	51,202
გასვლა		(323,898.00)				(323,898)
2022 წლის 31 დეკემბერი	22,693	0	7,785	49,174	428,889	508,542
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 1 იანვარი	5,842.89	64,780.00	688.58	17,401	142,244	230,956
წლის ცვეთა	2,205.00	64,780	827.00	7,166	49,025	124,003
გასული აქტივის ცვეთა						-
2021 წლის 31 დეკემბერი	8,048	129,560	1,516	24,567	191,269	354,959
გასული აქტივის ცვეთა						-
წლის ცვეთა	2,263.00	(129,560)	1,321.00	7,752	53,465	(64,759)
კლების შედეგად კორექტირება	-	-				-
2022 წლის 31 დეკემბერი	10,311	-	2,837	32,319	244,734	290,200
საბალანსო დირეზულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	14,405	194,338	3,320	18,995	195,221	426,279
2022 წლის 31 დეკემბერი	12,382	0	4,949	16,855	184,156	218,342

2.6. არამატერიალური აქტივები (გაბრძელება)

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები (გაბრძელება)

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის; ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკები გადადის სხვა მხარეზე.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ❖ სესხები და სხვა მოთხოვნები
- ❖ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება

სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის ფუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“.

სესხები და სხვა მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანსაქციებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შექმნასთან ან წარმოებასთან. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

2.8. კაპიტალი

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანსაქცია რომელიც დაკავშირებულია კომპანიასთან, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლში.

2.9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთით განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების გადასახადის განაწილება და დარცხა კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად თუ განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანსაქციები არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებს და ვალდებულებებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ❖ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- ❖ საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- ❖ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ❖ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ❖ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ❖ შემოსავლი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ❖ მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- ❖ შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ❖ შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3. მარაგები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	0	1 695
ნედლეული და მასალა	15 780	14 817
სასაქონლო მატერიალური მარაგი	23 701	34 396
სულ სასაქონლო მარაგი	39 481	50 908

ყველა სასაქონლო მატერიალური მარაგი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

კომპანიას არ მიაჩნია მოთხოვნებზე რეზერვების შექმნის საჭიროება, რადგან არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში	401 777	478 952
	401 777	478 952

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვის ვადა დაახლოებით 30 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

მნიშვნელოვანი გუალატრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს მომავალი ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შედეგი შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი და ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისაგან.

მარაგების გაუფასურების რეზერვი

ინვენტარის გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა დაშვებებს მოთხოვნასა, ინვენტარის ბრუნვისა, ინვენტარის დაზიანებასა და მოპოვებაზე.

კომპანიაში საანგარიშგებო წლის დასრულების წერიოდიისათვის არ ჩატარებულა მარაგების ინვენტარიზაცია.

დირექტორი -



მერაბ აბდუშელიშვილი

შპს „რაგბის განვითარების ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

მთავარი ბუღალტერი  ეთერ ქართველიშვილი